

თეატრი
სხუპრებ

1910 სათავცრთ სალიტერატურთ აქერნალი № 23

კ ვ ი რ ა , 13 ი ბ ე ნ ი ს ი



ოტტონე ფრანკარდი
გამოჩენილი იტალიელი შსახიბი-ტრანსსიფერმატორი
გასტროლების გამო ქართ. თეატრში



№ 23

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება დრ. სახ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან. თიფლისი. Редакция «Театри да Цховრება»

Иос. Зах. Имедашвили ხელმოწერული წერილები არ დაიბეჭდება. — ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება. — რედაქტორთან პირის-პირ მოლაპარაკება შეიძლება შუადღის 12—2 ს. ღ. საღ. 6—7 ს. ტელეფონი № 862

№ 23

კ ვ ი რ ა, 13 ი ვ ნ ი ს ი

1910

13 ივნისი 1910 წ.

ავტორთა თეატრის გარშემო ვინც ხურჯილდო. ხურებს—პარიკმახერი, მეტანი-სამოსე, იჯარადარი, გამნათებელი, რეკვიზიტორი, ერთი სიტყვით—თეატრის შენობის პატრონიდან დაწყებული მეკარემდე,—ყველა შრომის ჯილდოს იღებს, დაუჯილდოვებელია მხოლოდ მათი ლუკმის გამჩენი—ავტორი, პიესის შემქმნელ-დამწერი, მთარგმნელ-გადმომცემები...

და რაღაც უნდა გაგვიკვირდეს, თუ დრამატული ლიტერატურა სამადლო-სავალსაყიდ გავგზნობია...

ამიტომაც, უმეტეს შემთხვევაში, ჩვენებური ნათარგმნი პიესები რაღაც ნაჩქარებია, დაუდინჯებელი, შეუსწორებელი,—რა ქნას ავტორმა ანუ მთარგმნელმა—შავის დასაწერად ძლივს იშოვა ქაღალდ-მელანი და იმდენი შეძლება სადღა მოეპოვებ, მეორედ გადასწეროს, შეასწოროს?!

ღიაღ, უმეტესობა ჩვენთა მწიგნობართა ასეთ მდგომარეობაში...

ვიმეორებ, როგორც უნუგებო მდგომარეობაშია ჩვენის მწერლობის სხვა დარგის მუშაქანი არიან ჩაცვიფლენი, მზგავსევი სავალალო ბედს განიცდიან ჩვენის სცენის მწერლობითი მუშაქანი,—სხვათა ლუკმის გამჩენი თვით ხშირად ულუქმა-პურად იმშვივან...

თუ ქართველი მსახიობ-სცენის მოყვარენი საზოგადოებრივ ადლოიანობას ეგოდენად მოკლებულნი არიან, რომ პარიკმახერისა, მეტანისამოსისა, აფიშის დამბეჭდისა და სხვათა ძმათა მათთა წინაშე უფრო მეტს მოვალეობას პერანობენ, ვიდრე დრამატურგის წინაშე, მა-

შინ დრამატულ საზოგადოებათ უნდა აღიმაღლონ ხმა, რაც შეიძლება, ჩქარა მოახდინონ სცენის მოღვაწეთა წარმომადგენელთა კონფერენცია და, სხვათა შორის, განიხილონ ავტორთა ჯილდოს საკითხიც, შეიმუშაონ სავალდებულო წესი, რომ საქართველოს ყველა დაბა-სოფლებში, თუ დიდ ქალაქთა სცენებზე დადგმულ პიესებიდან ერთხელვე გარდაწყვეტილი პროცენტი უმეკველად გარდაიხადონ ხოლომე წარმოდგენის გამმართველთ ავტორ-მთარგმნელთა დასაჯილდოვებლად.

ჩვენის ფიქრით, ამ გარდასახადთა მთავარი აუზი უნდა იქნას დრამატ. საზოგადოებანი, ანუ მათი გამმართველები მთავარი ბიურო.

ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ ყველა ავტორ-მთარგმნელს უკლებლივ მიეცეს თავისი შრომის ჯილდო და დაბა-სოფლებში წარმოდგენათა გამმართველ მსახიობთა და სცენის მოყვარეთა გაუადვილდეთ საავტორო ჯილდოს დანიშნულებისამებრ გარდახდა...

დაე, პიესის თვითველ მოქმედებას—ნათარგმნს თუ ორიგინალურს,—მცირე ჟისი დაეღვას, მაგ., ათი შაური, მანათი, ორი ანუ ხუთი მინათი, ერთი სიტყვით თუნდა შაური, ოღონდ ფასი-კი ერქვას, რომ ავტორ-მთარგმნელს იგრანოს, მისი შრომა შეუტოდ არ მიღის.

ქართველ დრამატურგ-მთარგმნელთა შრომის დაჯილდოებას რა დიდი მნიშვნელობა აქვს და რა სასარგებლო შედეგიც მოჰყვება,—ეს ხომ ყველასათვის აშკარაა...



ლ მ ქ ე ა

წმინდა ძაფები აბრეშუმისა
ენებით ავიწმე, ენებით დავართო
და მოგექსოვე უცხო სამოსი,
ვით მარიამმა, იესოს კვართი,
ლექსთწყობის ღმერთო!

ზეღმაველინე!—

მინდა ღრუბელი ცას გადავხალო,
ვიხილო შენი ღვთიური სახე
და ჩემს ეტრატზე კრძალვით დავხატო.
შორს ბოროტო ხმავ!

ბოროტო სულო!—

სიყვარულს, იმედს, რწმენას ნუ ვამყრი,
ნუ ჰგმობ სიწმინდეს ჩემის ღმერთისას
და ჩემს სამსხვერპლოს ტლახს ნუ აყრი!

ბაბილინა



წარმოდგენები სოფლად

(მცირე შენიშვნა)

დადგა ზაფხული. პროვინციის მოდუნე-
ბული ცხოვრება ცოცხლდება. ახალგაზღვობა,
ქალაქის სიციხე-პაანაკებისაგან შეწუხებული,
ღროებით ტოვებს ქალაქს და სოფელში ბი-
ნავდება. ამ დროს სოფელი არა ჩვეულებრივ
სანახაობას წარმოადგენს! ნორჩ თაობას სი-
ცოცხლე შემოაქვს სოფელში,— გაზეთი, კამა-
თი, მსჯელობა, ერთად თავის ვეჯრა, ერთი-
მეორის აზრების გაზიარება,— ეს უჩვეულო
თვისებანი სოფლისა ღროებით აქაც ჩნდება.
ჩაღდება წარმოდგენების მმართავა: აქ-იქ ყველ-
გან წარმოდგენებს აწყობენ. სოფლის ინტე-
ლიგენცია ფუსფუსებს, საქმიანობს.

კარგია და დიდათ სასარგებლოც, რომ
ყველგან, ყოველ სოფელში ამ დროს წარ-
მოდგენები რიგიანათ იღვებოდეს, საუბედუ-
როდ უმეტეს შემთხვევაში წარმოდგენები სო-
ფლად **კარიკატურულ** ხასიათს ღებულობენ.
გამაჩენილი მსახიობი ქალი სარა ბერნარი
ერთს თავის თხზულებაში ამბობს: „ღიდი
დანაშაულობაა, თუ ოდნავ არ შეგიძლია აბა
თუ იმ ავტორის ნაწარმოებს ხორცი შეასხა,—

სცენაზე გამოიტანოვო!“ ჩვენში ამ აზრს ვასავა-
ლი არა აქვს. ზაფხულობით სოფლად ყველა
ჯიჯგნის, აწამებს პიესებს. უხვირო წარმოდგე-
ნებით საზოგადოებაში კარგავენ ნდობას წარ-
მოდგენებისადმი. მე დავესწარი ერთ პროვინ-
ციაში „სამშობლოს“ თამაშობდენ. შპისათვის
სომხური ჩოხა ჩაეცვათ და ბოხოხის ქულში
ბატის ფრთები გაერქოთ; ლევან ხიმშიაშვილი-
ცი წითელი შილის ბლუზითა და შალვრით
გამოეწყათ. ერთ პროვინციაში „ყაჩად არსე-
ნას“ ვილაც ხრინწიანი, ორ-გოჯა ახალგაზდას
ათამაშებდენ. ასეთივე კარიკატურული სახით
დამანახვეს ერთ სოფელში უხვირო სცენის მო-
ყვარებმა პ. ირეთელის „დამარცხებულნი“.
ეს მოვლენა ფრიად საშუხაროა!! სასურველი
და დიდათაც სასურველია სოფლად ზაფხულო-
ბით იმართებოდეს წარმოდგენები, მაგრამ ამ
წარმოდგენებს აუცილებლად უნდა ხელმძღვე-
ნელობდეს არტისტები, ანუ მომწიფებულო,
სცენის კარგად მცოდნე ინტელიგენტები.—
კარგს იხამს დრამატული საზოგადოება, თუ
იკისრებს ზაფხულობით პროვინციებშიაც მსა-
ხიობთა დახმარებით წარმოდგენების ხელ-
მძღვენელობას.

ილია ბახტაძე



ს ა თ ი ბ შ ი

ჩემს აღტაცებას საზღვარი არა აქვს, რო-
ცა საღამოზე ტყის ახლოს სათიბში ვარ!..
ჩამავალი მზე ალისფრად ფერავს ცის ტა-
ტნობზე მთებივით აღმართულს თოვლისებურ
თეთრ ღრუბლებს და შიგნი-შიგან შექედილი
ფირუზის ცა, ბაჯაღლო ოქროს რგოლში
მჯღარი, ბრწყინავს და ვარვარებს წითელს
სხივებზე, ვით მომწიფებულო ყანა.
იწვის დასავლეთი, როცა მზე ღიმილით
იმალება და მკრთოლვარე სხივებით უქანასქენ-
ლად ეღამუნება არემარეს!..
მერცხლები, ტორაღლები, ნამვალები ერთ-
მანეთს ეჯიბრებიან, ჭკვილ-ჭღვილით მზის
სხივებს გამაჰკიდებიან!..
ნახირო შინისკენ მიეშურება ბღაილით
და პატარა მწყემსნი ხტომით მიჰყვებიან.

სალამოს ზეფირი ნახად, მომხიბლავად ჩურჩულებს და დაგუბებული ახალი თივის სურნელებს ყნოსვას საამურად ეამბობრება!..

სალამოს გრილი სიოა ალურსიანად ეარ-შიყება მუშის ჯანს და იგიც, გამხნეებული, ნალველ-მიიწყებულნი; მწყობრ სიმღერით მარ-დათ თივას აბულულებს!..

მკვირცხლად დარბიან ბავშვები, თივაში კოტრაილობენ, გულიანად, წკრაილა ზარივით კისკისებენ!..

ფინიები, მურა-ძაღვები მათთან ერთად, ყვფით, ღრუნით, სიხარულით გორაობენ!..

ნიშანიკორაც, ზაქია-კამეჩიც ტბილათა სძოვს და იცოხნება!..

ყველა ხარობს... და შვანატრის ამ მშვენიერ წუთის განაგრძობას!..

გიორგი ფოცხოველი



ყვავილები

ყვავილებისა ვსწავდი გვირგვინებს, სატრფოს საფლავზე დადება მსურდა, უკებ ნიაფა წაოჰქროლა,— ...რისთვის წამართვა.. რისთვის შეშურდა?

0 0

მინდვრად ყვავილთა კონა შეეკარი, ჩემთვის გვირგვინის შეკონვა მსურდა, ოცნება იყო... და სინამდვილემ ესეც წამართვა... ესეც შეშურდა!

0 0

კუბოს ფიტრები ყვავილით მოვრთე, გულზე კაეშანთ გუნდი ატურდა. სიკვილის ვეძებდი... ის არსით სჩანდა, ყვავილიც ჩემთვის მას შურდა, შურდა!

0 0

დდილო, შრომის წმინდა ყვავილი რომ დამბარე,— ვერსად ვერ ვპოვე, ბედნიერება ჩემთვის არ არის... ბედ-კრული შეილი გამოიგლოვე!

გ. ტაბიძე

დასავლეთ-ევროპულ მოდერნიზმის

პირითადი მოცუვები

(დასასრული, იხ. თ. და ც. №№ 18-20, 21)

VII

მოდერნისტი მწერლები, რომელნიც მოხსენებული გვყავდნენ—ვილიე დე-ლილ-ადანი, უილიდი, ჰომანსტალი, გიუისმანსი, სტრინდ-ბერგი, შნიცლერი და როდენბახი—კეთილ-შობილ კასტის ჩამომავლინი არიან და თავის გულისნადებითა და ზრახვით არისტოკრატის ეკედლებიან. ტხოვრების თანამედროვე ბატონ-პატრონი, ბურჟუვებსა და დემოკრატულ სა-ზოგადოებას ეს მწერლები ზიზითი და აშკარა სიძულელითი შესსეკერიან.

გიუისმანსის ჰერცოგ დეზესენტი და ექიმი დე-ერმი სწყევლიან „ბანკირების, პრეტებისა, მეწერილმანებისა და ყასების“ სამეფოს. სტრინდბერგს ვერ გამოუძებნია უფიც და ვერაგ ბრბოს შესაფერი სალამძღავი სიტყვები. როდენბახის ხუროთ-მამოღვარი ბორლიუტი წყევ-ვა-კრულვას უგზავნის მოვხსე მდაბიო-მოქა-ლაქეთ. ვილიე დე-ლილ-ადანის პოეზია ზიზითი შორდება დაბალ რასას. შნიცლერი დასცილის ამ „სასარგებლო მოქალაქეთ“ რომელნიც ცოცხლობენ მხოლოდ მარყენილ სინამდვილით და არაფრად მიაჩნით ოცნებათა სამეფო. ამ „სასარგებლო მოქალაქეთ“ ჰომანსტალი ადარებს ზღვის ლოკოკინებს, რომელნიც ვერ განშორებიან თავის სიბრბოს.

ყველა ზემო-ჩამოთვლილი მწერლები თავს ანებებენ თანამედროვე ბურჟუზიულ სინამ-დვილეს და მიემუტრებიან წარსულისაკენ, თვალს აპყრობენ „განსაცვიფრებელ და მშვენიერ სა-შუალო საუკუნეთ“, ფეოდალიზმის ეპოქის ლომბარდას, როკოკოს დროის ვენეციას. ბურჟუზიულ სინამდვილეს ეს მწერლები უბირ-დაპირებენ მშვენიერს წარსულს, რომელიც სულსა დაფავს სავაჭრო სამრეწველო ინტერესებისა და ტენიკის უღელ ქვეშ.

თუ ყურადღებით დავაძკერდებით მოდერ-ნისტულ პოეზიას, შევამჩნევთ, რომ ამ მიმ-დინარეობის მწერლები თავის ნაწარმოების გამირებად წარჩინებულ წოდების წარმომად-გენელთ ირჩევენ: ვილიე დე-ლილ-ადანის პო-რტლანდელი ჰერცოგი და გრაფი დატოლი,



ოსკარ უაილდის ლორდ ჰანრი და დორიან გრეი, გიუსიმანის ჰერცოგ დეზესენტი, ჰოფ-მანსტალის გრაფი კლაუდო, და შნიცლერის ფონ-სალა და ფონ-ვერგენტინი. არც გასაკვირველია, ვინაიდან მოდერნისტი მწერლები თვით ამ წარჩინებულ წოდების ან ჩამოშავლნი არიან, ან იდეოლოგები. დილაკ, მათ თავის ფსიხიკაში უნდა აღებუქვათ გრძნობანი და გულის-აზრი საზოგადოებრივ იმ კლასისა, რომელიც მკაცრმა ისტორიულმა სვლამ დააქვეითა და რომელსაც უღმობელმა ბედის-წერამ ხელიდან გამოსტაცა ყველა პოზიციები: თანამედროვე სინამდვილიდან განშორების გრძნობა, ოცნებათაქენ მისწრაფება, სიმარტოვეს კულტი, ნირვანისა და მოსვენების ძიება, ზემოხსენებულ საზოგადოებრივ ჯგუფის კუთვნილი ყოველივე ეს გულისნადები სიკაცხლის წინაშე ძრწოლაში და ამ ძრწოლიდან გამომდინარე ემოციებში ჰვობდა მდიდარ საზრდოს.

ეს არისტოკრატიული ინტელიგენცია, დროთა ბრუნვისაგან დაქვეითებულ კლასის წარმომადგენელი და იდეოლოგი, ყველაზე უკეთესად და ადვილად ახერხებდა ბურჟუაზიული კულტურის დამახასიათებელ ფერადობისა და უღმურების ხელოვნურ ხატებაში აღბეჭდვას.

ამაწიარად, არისტოკრატიული ინტელიგენცია მოდერნიზმის მებაირალტრედ შეიქმნა. ორმა მიზეზმა შეამზადა ახალი ლიტერატურული სკოლის გამარჯვება. თავის აღმარენას ეს სკოლა ეძებდა კაპიტალისტურ ხანის სოციალურ ურთიერთობის ნიადაგზე წარმოშობილ თანამედროვე ნერვიულ, პასიურ, დაქანტულ ფსიხიკაში, ეს იყო მიზეზი, რომ მოდერნისტი ავღლი გასახიბდი იყო ბურჟუაზიული საზოგადოების დიდი ნაწილისათვის. ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველი სკოლის მწერლები ახალმა სკოლამ დაამარცხა არა იმიტომ რომ იგი თავის დროზე წარმოიშვა. არა იმიტომ, რომ იგი მოდერნის წარმომადგენელი იყო, არამედ იმიტომ რომ იგი, წინადა ხელავენების, ბრინციბის მატარებელი იყო. ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლისას მოდერნისტი შეზღედნ ნატურალიზმს. ეს მიმდინარეობა შექმნა პროლეტარულ მუშაობა-შრობაში გაწერანილი წერილ ბურჟუაზიულმა ინტელიგენციამ. ნატურალისტები ყოველთვის უკმაყოფილონი იყვენ ყოველდღიურ სინამდვილით, ლანძღავდენ ეკონომიურ წყობილებას,

წყლებლები და სუსტი მხარეები გამოჰქონდათ საქვეწოდ, მთელს თავის იმედს სოციალიზმზე ამყარებდენ და რევოლუციით იმუქრებოდენ. ბურჟუაზიას მხოლოდ დროებით აინტერესებდა ნატურალისტების პესიმისტური და დაუნდამელი კალამი, ვინაიდან ხშირად განიცდიდა ზნეობრივ Katzenjammer-ის პერიოდებს; როდესაც ვაჭრობის საქმე ცუდათ მიდიდა, იზრდებოდა კრიზისის აჩრდილი, მრწველობა სუსტდებოდა. ხოლო სექსუალურ ანომალიების აღწერაზე დახარჯული ფურტლები სასიამოვნოდ უღიტიგებდა ბურჟუაზიულ წარყენილ სქესებრივ მადს-ადვირწამებულებას. ამჟარაა, ნატურალისტებისადმი, ამ უკმაყოფილო კრიტიკოსებისა და არა საიმედო პირებისადმი, ყურადღება ხანგრძლივი არ იქმნებოდა.

და აი, გაჩნდა სუფთად ჩაქმულ და „ზრდილობიან“ მწერალთა გუნდი. ამ გუნდს სწყურია „სინამდვილის ყოველსავე ფორმაში კეთილშობილება გამოსქვივოდეს“. ეს გუნდი არ წარმოადგენს ინტელიგენტ პროლეტარათა ხროვას, ანუ, გიუსიმანის სიტყვებით რომ ვსთქვათ, „ბრობოს, რომელიც ჩამორჩალოდუბანსებში და თავისი გესლით უმასპინძლებდა ყველასა და ყოველს“. არა, ეს მწერლები ლამაზი ტონის ხალხია, სუფთად და მოხდენილად აცვიათ: მოკლედ რომა ვსთქვათ, ესენი არიან „კეთილშობილთა მოდერნის შემამკაგელი დამამშენებელი ქარიფანტიები“. მათ გულისხმად არ ჰყოფს „სამაგელი პრობა“, თავიბრს არ იმტრევენ სოციალურ კითხვათა აღსნაში. მათი აზრი და გონება მიჯაჭულია „სამარადისო პრობლემებზე“—სიკვდილისა და სიკაცხლის საკითხებზე. ამ მწერლების მანიფესტები ღალად-ყოფენ, რომ საზოგადოების გარდაქმნა მათი საქმე არ არის, ვინაიდან ეს ულახათო საქმე „არ ეკუთვნის პოეზიის სფეროს“. მათის აზრით, მკოსანი მარტოოდენ მფარველია ზეციურ ნაბერკალისა; მათის აზრით, მკოსნის ბუნება აღებატება ყოველსავე საზოგადოებრივსა და პარტიულ ბრძოლას.

დილაკ, ნატურალისტების ბუზულნა კრიტიკის შემდეგ ამ მშვიდობიან ეპისტოლეების მომხმნა საამო იყო.

მართალია, მოდერნისტიები ხანდახან აღნიშნავდენ ბურჟუაზიის წერილმანობასა და ზნედაცემულებას; მაგრამ ბურჟუაზია ყოველსავე ამას იფწყებდა. სხვა არა იყოს რა, მოდერნისტიები არ იმუქრებოდენ სოციალურ წესწყობილების გარდაქმნათა და რევოლუციით.

პეტრე დადვაძე

რეაქცია

ოთხ მოქმედებიანი

სტენები აკაკისა

მოქმედება მირკა

ალექსანდრეს კაბინეტი. ალექსანდრე მაგიდას უზის და სწერს. დათია ოთახს ალაგებს.

I

ალექსანდრე, დათია

დათია. მართალი გამოდგა: ლარაქე ყოფილა, ჩვენი იოსები, რომ დაუწვავთ.

ალექსანდრე. იოსები, ჰმ.

დათ. ნაშუალაფევი იქნებოდა, რომ მისი ატირებული ცოლშვილი ჩვენსა აქ გადმოვიდა, ბოსელში მოვათავსე.

ალექ. კარგი გიქნია.

დათ. ღღეს გათენდა თუ არა, იოსები მოვიდა. ნახვა უნდა თქვენი.

ალექ. შემოიყვანე. (დათაა გადის)

II

ალექსანდრე და იოსები, შემაღის და განსე გადგება.

ალექ. იოსებს გაუმარჯოს.

იოსები (დადონებული) ღმერთმა ნუ მომაკლოს თქვენი სიტყვები.

ალექ. მოიდგი სკამი. (მოაწადებს სკამს)

იოს. არა, თქვენი ჭირიმე, ასეც არა მიჭირს რა ფეხზე! მე რა მრჯის თქვენთან ჯდომას.

ალექ. (იფინის) ნეტავ არ სულელობდ ერთი!.. რა პატივისცემა ზეზე ღვთა, რომ წიფელსავეით დამოდგომიხარ თავზე?

იოს. არა შენი ჭირიმე, არა მიჭირს რა.

ალექ. მოდი ახლოს!.. მოიდგი სკამი!..

იოს. (ჯდება) გადღეგრძელოს ღმერთმა!.. წუხელის მთელი ღამე ფეხზე გავათენე.

ალექ. მით უფრო!.. შენი ფეხზე ღვთა მე ვერაფერს შემმატებს და შენ კი ისეც გეყოფა დალაღვა. რა ამბავი იცი?

იოს. რაღა უნდა ამაზეოდე? წუხელის გადამწვეს და გადამხრაკეს.

ალექ. (შეწუხებული) ვიცი! ვიცი, რას გეჩხოდენ?

იოს. რა ვიცი შენი ჭირიმე, ღმერთმა ნუ იცის მათი თავი და ტანი! სულათ რათ იყავიო.

ალექ. სულიათო?

იოს. ჰო, სულიათო შენი ჭირიმე! იმ ახალ-თაობის დროს, პოლიცია რომ აღარ იყო, სულია და პოსრედნიკი გააუქმეს და ღრუბენატორიც გადადგა, ჩვენ გამოგვიცხადეს: ახალი დრო დადგა და ახლა თქვენ უპატრონეთ თქვენ თავსო? ჩვენც, თქვენი ჭირიმე, რაღა გზა გვექონდა, ავდექით და შევეუდექით საქმეს; პოლიცია ჩვენს ხელში გადმოვიდა და სამართალიც. სოფელმა თავისი სულიები აირჩია და მათ რიცხვში მეც მოვჭყევი.

III

ასეიფე და ვახუშტი შემაღის, იოსები წამოხტება ზეზე, განსე გადგება. ვახუშტი ჯერ გაფერთახვს და მერე დაჯდება ნაჯდამ სკამზე.

ვახუშტი. ოჰ, იოსებს გაუმარჯოს!.. კაცო რა მოვიცადა, რომ ცუცხლი წავიციდეს? მეწყინა, მამა ჩემი ნუ წამიწყელება.

იოს. თქვენი თავი ნუ მომიშლოს ღმერთმა! მე რაც მომივიდა, ის თქვენს მტერს, მაგრამ რა გაეწყობა? ალბათ ღვთის რისხვა იყო ჩემს თავზე.

ვახ. მაინც რა სთქვეს? რათო?

იოს. წედანაც მოვახსენებდი ამათ. სულიათ რათ იყავო? რა მექნა შენი ჭირიმე? მე ხომ ჩემი ნებით არ ვყოფილვარ? მიბრძანეს და დავდექი! სოფელს სად წაუხვალ?

ვახ. მერე და ახლა ვაახსენდათ ამდენი ხნის საქმე? მიზეზი აუკრევათ.

იოს. აგრე იქნება. მაინც ჩვენს სულიობით რა წავახდინეთ, რაც არა გავაკეთეთ რა? იმ ცოტა ხანში, სანამდი ჩვენ ვიყავით, ჩვენს სოფელში ცუდი არა გავიწილა რა!.. თვარამ თქვენც მოგხსენებათ.

ალექ. კი, მაგრამ სამართალს როგორ სჭრილთ, რომ კანონების არა გავგებთათ-რა? (იფინის)

იოს. კიდევ მიტომ. ადამიანი დაიბადება თუ არა, ავკარგის გარჩევა თანვე დაყვება, ღვთით. კანონები გულშია, თუ კი სინდისზე

გაოვლის კაცი! და ჩვენც არა დაგვივლრა რა ლეთით.

ალექ. ხალხიც გემორჩილებოდათ?

იოს. ერთობა იყო და მაშ რა იქნებოდა. იმ ორ-სამ თვეში ამ ჩვენს სოფელში ცული არა გაგონილა რა! ყოველივერი უკუღმართობა მისპოვო, იტყოდა კაცი. დარისპან კობახიძეს—თქვენც კარგათ იცნობთ, სოფელმა ველარ გაუძლო!.. ქურდი იყო მისთანა, რომ თვალში წამწახს გამოჰპარადა და დამიანს. ორჯერ სამჯერ კიდევაც დაიპირეს და ჩასვეს ციხეში. მაგრამ რა გამოვიდა? რომ გამოუშვეს, უარესიც ჩაიღინა. რამდენჯერ გასთქვა სოფელმა: ვადასახლეთ... მოგვაშორეთო, მარამ არ იქნა.. ფული რომ მოყვებოდა ხელში, გამოიძვრენდა ხოლმე თავსა, ახლა კი..

ალექ. ახლა რაო?

იოს. საღდაც გოჭი მოეპარა და ჩაგვივარდა ხელში.

ალექ. მერე?

იოს. ჩვენ, შენი ქირიმე, ჩავაბით ბაწარი ყელში, ისე, ზურგზე ავკიდეთ ცოცხალი გოჭი და ისე დავატარეთ სოფელი. გოჭი ქყოდა, რაც შეეძლო. დავედღენ ბოვშები სიცილ-კიჟინით და ერთი ვაი-უშველებელი იყო!..

ვახ. მერე და რა ენაღვლებოდა იმას, თუ მეტი არაფერი?

იოს. რატომ ბრძანებ შენი ქირიმე? ნათქვამია: „სირცხვილს სიკვდილი სჯობიაო.“ ის რომ მაშინ გენახათ, სწორეთ შეგეტყობოდათ. ბევრი გვეხვერწა: ნუ მიზამთ მაგისთანა საქმეს!.. თავს ნუ მჭრით!.. გამიშვით და ფულს მოგატეოთ—ო; ჩემს ღლეში მაგისთანა საქმეს აღარ ჩავიდნო. ქრთამსაც გვაძლევდა, მაგრამ განჩინების მოშლა როგორღა შეიძლებოდა?

ალექ. ახლა აღარ იპარას?

იოს. მას უკან ვინღა ნახა? სად არის? გაუშვით თუ არა, შინ აღარც კი დაბრუნებულა, ისე გადავარდა საღდაც. აღბათ შერცხვა ტრამანაგების.. მადლობა ღმერთს? ამის შემხედვარე სხვაც ვეღარავინ რამეს ჰხედავს და მოსვენებულია სოფელი.

ალექ. ეგ უკანონობაა! მაგრამ კანონზე უკეთესი კი გაუჭირია და! (იღინას)

იოს. მიქელა სომეხს ქვრივმა რძალმა უჩივლა ძალა იხმარაო. ჩვენც გამოვიძიეთ და მართალი

რომ გამოვდა, ცალი უღლვაში ჩამოგბარსეთ და ისე ავატარა-ჩავატარეთ ბაზარში. ბევრი იყვირა, ვის უბედეთო? მაგრამ ვინ გაუგონებდა.

ვახ. არ გიჩივლიათ?

იოს. ვისთან გიჩივლებდა, შენი ქირიმე? რა გაუვიღდა? სამართალი ჩვენ ვიყავით. მასუკან სახლიდან კარში აღარ გამოდის, მანამდელი, ვინ იცის, რამდენი რამ არ ჩაუდენია ამისთანეთ, მაგრამ ვინ გაამტყუნებდა ძველი სამართალით? ფული აქვს და ათასს ცრუ მოწამეს იშოვნის!.. შე მოგახსენებთ, ატუკატად არავინ დაუღებოდა? ჩვენ კი ღვთის ბრძანებაზე გავყავდა ლარი და ხაზი!..

ვახ. გავყავდათ და აი ახლა ხომ ჰხედავთ; რა გიყვეს?

იოს. რა გავწყობა!.. (ჩამოგარდებს საჩუქე) ეჰ, ღმერთი რომ ინებებდეს, კიდევ დავებრუნდებოდეს ის ღრო და მეც სულათ ამირჩევდენ, ახლა ხომ ვიცი, რომ არ შემარჩენენ, მომკითხვენ, მინც იმ გზაზე გავივლი.

ვახ. იმე! რას ამბობ კაცო? რა სარგებლობის გულისთვის?

იოს. ჰმ. ავტო ორმოცდა ათი წლის გავხდები და მაშინდელის მეტათ ერთხელაც არ მიგრძენია, რომ მეც კაცი ვიყავი! წამათრევდენ იმ დასაქვეც სულში. აქ შენი არავის ეყურება და შენ სხვისი... უნდა წამოუყურო შენ მაგერი და ის რას ამბობს, ღმერთმა იცის. კაცათ კი არა, ძალდათაც არავინ გავდებს. და ამის შემდეგ ღვთის რისხვით არის, თუ ღვთის წყალობით, თითონვე შენ ხდები სულდით! შენ ასამართლებ სხვებს!.. მოდი და ნუ იტყვი. ახალ თაობას ქირიმეო!

ვახ. ქირიმე და... მაგრე იცის იმ „ქირიმეში“ ე სახლი რომ დაგიწევს მაგერ.

იოს. თქვენი ქირი წაიღოს! იმას ხომ მინც ვეღარ ვიტყვი, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე პირუტყვად გავატარე და აღამიანური არა მიგრძენია რა თქო?

ალექ. (თავისთვის) აი ხალხის ფსიხოლოგია.

ვახ. ეგ ყველა კარგი, მაგრამ ახლა რომ უსახლოთ ხარ?

იოს. ვეცდები, ან აქეთ ვეცემი ან იქით და მოვახერხებ რასმეს. ახლაც შემოსახვეწნად გაიხელი თქვენთან; ცოტა წყნელები მიბოძოთ,

რომ ფაცხა მოცადვორ როგორმე ჯერ-ჯერობით, თუ ისიც არ დამიწეს.

ვახ. ჩემი ტყიდან? კმ, აკი აჩხასა და ახორებს უპირებდით იმ ჩემს ტყეს? ახლა ხომ დაგქირდა? რომ მართლა აჩხილიყო, ახლა ან შენ რაღას მთხოვდი და ან მე რაღას გიბოძებდი?

იოს. ახალგაზდა ბიჭები გაბრიყვდენ, შენი ჭირიმე, და შექონდათ ცული, თვარა სხვა ჭკუით მყოფი ვინ იფიქრებდ მავას? აკი ჩვენვე დაუშალეთ და რაც მოეჭრათ, იმისთვისაც დავაჯარიმეთ.

ვახ. დაჯარიმეთ?

იოს. ასი მანათი გადავახდევით.

ვახ. რა უყავით მერე იმ ფულებს?

იოს. მქადაგებლებს გადავეცი, შენი ჭირიმე.

ვახ. „ვუ!“ ტყე ჩემი, ჯარიმა გლუხების და ფული მქადაგებლებს.

იოს. რა გვექნა; შენი ჭირიმე, მაშინ მისთანა დრო იყო.

ვახ. კარგი. ნუღარ მომაგონებ იმ დროს ბევრი დაგქირდება წუნელი?

იოს. რაც ერთს ფაცხას მოუნდება... ცოტა საბოძველიც დამქირდება და სახურავიც.

ვახ. ბარემ მთელი სახლი გაიტანო, არ გირჩევნია?

იოს. მაგდენის ღონისძიება ვინ მომცა, შენი ჭირიმე.

ვახ. არაფერია!.. სოფელი ღონიერია, გამოვრიგდებით. მანამდე შენც იშოვნი, დაგაციდი

იოს. (გახარებული) თუ დამაცილით... ღმერთმა შენი წყალობა ნუ მომიშალის.

ვახ. რატომ არ დაგაციდი? დიახაც დაგაცილი... თუ შეზობლობა არ გვექნა—არ ივარგებს! ჩვენ უთქვენათ ვერ ვეცხოვრებთ და თქვენ უჩვენით... ბატონობა. სულ სხვაა.

იოს. ღმერთმა თქვენი ჭირი მომცეს, ჩემო ბატონო! (შადის გახარებული)

ალექ. კვიანი არის ეგ იოსები!

ვახ. რა გიკვირს. შვილო?! ძველი გლუხები სულ მაგისტანები იყვენ! არც ჭკუა აკლდათ და არც ზრდილობა! რომ უნდოდა ისე ექირათ თავი... უმცროს უფროსობა იცოდენ... ახლა გაფუქდენ და ისიც თქვენი წყალობით.

ალექ. როგორ თუ ჩვენ წყალობით?

ვახ. ჰო, ახალთაობის წყალობით! დავიჯინათ: „ძობა“ო, ერთობა“ო, „სიყვარული“ო და ამით სულ ვადარით ხალხი.

ალექ. ეგ თუ გინდა მაგრე იყოს!.. ჩვენ ვამბობთ მავას... მაგრამ როდის გვითქვამს „უზრდელობა“ო?

ვახ. იმათ კი ასე ჰგონიათ და... კისერზე გვიპირობენ წამოჯდომას.

ალექ. არაფერია! ეგ ყველაფერი სტიქიონურია!

ვახ. რაო?

ალექ. ჰო, სტიქიონური!.. იშვიათი მოვლინება, როგორც მიწის ძვრა, მეწყერი, ცეცხლის გაჩენა და სხვანი! ყველა ვადამავლი!

ვახ. ჩვენ კი ვვლარ მოვესწარით და!..

ალექ. ყოველ ამ გვარ მოვლინებას მოთმენით უნდა ატანა. აი, კარზე რომ პატარა მდინარე ჩამოვიდის, ხომ დასაღვევთაც კარგია, საბანაოთაც და თევზიც კარგი იცის! მოჩუჩუხებებს ნელ-ნელა, თითქო ამ ატეხილ ქალებს უმღერისო, თვალსაც ესიამოვნება და ყურსაც. როცა მოვარდება ხოლმე, მაშინ კი შენს მტერს!.. გადმოტეხავს ნაპირებს, ატლახიანდება. აღარც სასმელათ ვარგა და აღარც საბანებლად. და რომ ვადარეცხავს კიდებს, დაწდება და თავის კალაპოტში ჩადგება, მაშინ ხომ ერთი ორთა უკეთესია? ხალხიც ასეა, როცა ღელავს, უნდა მოერიდო ცოტა და დაალო.

ვახ. ჩვენ კი ვერიდებით და ვაცილით, მაგრამ ისინი, რომ აღარ გეცილიან? გაწყვეტას გვიპირობენ ყველას ერთიანათ, გაუკითხავად!.. ცოტა გამოათხოვეს დაუნაშავებლათ წუთისო ვიფელს!

ალექ. ეგეც ცხოვრების მოთხოვნილებაა. სიმინდს რომ ვთოხნით, თოხი მიტომ შეგვაქვს ყანაში, რომ ბალახი მოვაშორათ, თორემ შამბი წაიღებს და ამოვარდება მთელი ყანა.

ვახ. მერე რაო?

ალექ. ის, რომ მაშინ უცაბედათ კარგი ღერიც იჭრება აქა-იქ. და იმის მოფრთხილებით რომ შეცდომით კარგი არ მოიქრასო, თოხნაზე რომ ხელი ავიღოთ, ხომ ამოვარდა მთელი ყანა? ერთი რომ მოიჭრება, იმითი ათასი სხვა გადარჩება. ასეა ხალხიც!..

ვახ. ეგ მაგრეა, მაგრამ წარა-მარა რომ

შეიტანო თოხი და ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ უპარტყუნო წინდაუხედავით, რა თვის გამართლება იქნება?

ალექ. მერე, ვის ეწამებით წინ-დაუხედაობას?

ვახ. ვისა და იმ შენ ახალ-თაობას!.. ცოტას მოუღეს ბოლო, რომ იმათ არც ღმერთთან და არც კაცთან დანაშაული არა ჰქონიათ რა!..

ალექ. წელანაც ვამბობდი: წყალი რომ აიძვრევა და მოვარდება, თევზები ნაპირზე გამოჰყავს და ამ თევზებს გველ-ბაყაყებიც თან მოჰყვებიან ხოლმე ნამდვილ ახალ თაობას რა წილი უძვეს კაცის კვლავში და ცარცვა-გლეჯაში? ისინი თავსა სდებენ სიმართლისათვის. ზოგი კვდებიან და ზოგი ციხეში ღებებიან. სხვები კი სარგებლობენ დროით საპირადლოთ და ვინ იცის, რას არ ჩადიან ახალ თაობის სახელში?!.. გუშინ ხომ გაიგონე. დათიამ რა ილაპარაკა ვილაც გადავარდნილზე—არავის ზოგავსო! განა ესც ახალთაობას უნდა დაბრალდეს?

ვახ. რა ვიცი, შეილო! მოძრაობამდე კი არა ყოფილა რა და! შენ მაინც, მოძრაობა რომ დლიწყო, სიხარულით ფეხზე აღარ იდგები: მადლიან ღმერთს გაიღვიძა ხალხმა, თვალი გაახილაო.

ალექ. დიას!.. საუკუნეზე მეტია რაც სძინავს... მკვდრის ძილმა წაილო! რაღა მკვდარი ღრღაღ შინ მოუსვლელიო, იტყვიან რაღა მკვდარი და რაღა მძინარი, ვამბობ მეც. მძინარს, როგორც ვინდა ისე დაიმორჩილებ. დღეს ძლივს თვალი გამოახილა ხალხმა...

ვახ. (ჩამოართმევს სიტყვას) გამოახილა და ჩემვე დაგვერია!..

ალექ. (იგინის) ეგეც არაფერია, ცოტათი დაიგეშებიან შინაურებზე და მერე...

ვახ. ისევე კი დაგეშართოს, მაგრამ ვაი თუ ისე მოგვივიდეს, როგორც ბიძა შენს მოუვიდა.

ალექ. ბიძა ჩემს რა მოუვიდა?

ვახ. ჩაღი! ჰკითხე და გეტყვის. ერთი ლექვი ჰყავდა მწვეარი. კატებზე დაეგეშა, მერე უფრო კარგათ დაიქურს კურდღელსო... მაგრამ მისთანა შენს მტერს, როგორც ის გაიწრთენა: გარეთ კურდღელს ხმას არ სცემდა და შინ კი კატა არ გაუტყდებოდა! (იგინის)

ილექ. არც მაგრევა საქმე, მამა ჩემო! ხალხი ჰკვიანია და მალე შეიგნებს, რაც შესაგნებელია, წელახე, შეილო, მაგრამ ის კი არ მომეწონა, რომ გვერდში მოგვევა.

ვახ. ენახე, შეილო, მაგრამ ის კი არ მომეწონა, რომ გვერდში მოგვევა.

ალექ. თქვენ აკი წამოვიდგათ ზეზე?!..

ვახ. მე რა შეილო? ჩემი პური მოჭმული მაქვს. შენთვის ვამბობ, არ უნდა გაიტოლო! არ უნდა გაათამამო, რომ ბოლოს სანანურად არ შეგექნეს.

ალექ. არა, ის მისთანა არ არის, რომ გაბრიყვდეს: მე თვითონ აღარ მოვეშვი და ძლივს დავაჯდინე.

ვახ. (წამოადგება) შენ უკეთ იცი, შეილო, ახლანდელი დრო. (მადის კარებებსაკენ, მერე მობრუნდება და რადანს გადსცემს შეფას) აჰა! კინალამ დამევიწდა!.. გულში-კი მქონდა... ამას შენც მიუმატე და ვადაეცი საცოდავს?

ალექ. (გაოცებული) იოსებს?


ვახ. ჰო, იოსებს!.. აბა რითი შესძლებს ყიდვას?

ალექ. ბარემ ისე გებოძებიათ უფულოთ.

ვახ. არა შეილო!.. ის რომ არ გაბრიყვდეს, სხვები გაბრიყვდებიან... ეგ ფული სულ შენობით გადაეცი. (მადის)

ალექ. (გაუფლებს თფლს) ძვირათ მინახავს ქართველი, რომ კარგი გულის არ ყოფილიყოს!.. ჰმ. თვალი დაუდგეს დროსა და გარემოებს, თორემ რად უნდა ილუპებოდეს ამისთანა ხალხი?!..

ფ ა რ დ ა



ს ა რ დ ა უ შ ი

ჩამქრალ სანთელსა თვალნი მიუფავს...
ფერ-მკრთალი სახე დაღონებია!
იბრძვის... მუშუაობს ცივ ქარხანაში,
ხელეღი შრომით დაჰკარძებია!

ნაკადს,
სცემს წერაქვს.. შუბლით ღერის ოფლის
რომ გამოკვეთს ცოლ-შვილი წვრილი!

მაგრამ ამაოდ... ვერ ააღვინებ
უბედურ ოჯახს სიმშოლ-წყურვლილი!
განცხრომის ძვთა იგი უმზადებს
ოქროს და ვერცხლსა, დღე სიმდიდრესა!
ხოლო თავისთვის, განაწამები,
იმზადებს სულარს, ცივ სამარესა!..

ჰეა! ვინ უწყის, თუ რაოდენი
სისხლისა ღვარი იქ დანთხეული!
და, ვით ტარივი, მაშვარლის გვაში
დღიურ ლუქისთვის იგი შეწირულია?!

და ესრედ იბრძვის ცხოვრების გერი,
რომ გამოკვებოს ცოლ-შვილი წვრილი!
მაგრამ ამაოდ... თუმც მუნ შესწირა
ძალ-ღონე თვისი.. უმანკო სისხლი!

3. გორგაძე

გულგულის გოდება

მზე ჩაეიდა. საღამოს ჩრდილი გადაეფინა
არე-მარეს. ტყე-მინდორს მუქი მწვანე ფერი
გადაეკრა. მთიდან დაეშო ცელქი ნიავი და
მინდვრის ყვავილბალახთან ჩურჩული გამართა,
ველის კეკლუცი წელში გაიმართნენ. გაისწო-
რეს მზისგან ანაკეტილები კაბის კალთები.
მწვანე ჯეჯილიც აღელდა, ნელი ნიავის მიკა-
რებაზე ზღვასავით მიდი-მოდიოდა. ჰალა-
მინდვრის ფრინველი აყრიაბულდენ, ყველა
მხრიდან ისმოდა შაშვთა მხიარული ქრიახი.
ვარდის არ-შეიცი აკენსდა: ათას ნაირ ჰანგზედ
აწვე-დაწვეით მოსთქვამდა თავის სევდას, ნა-
ლველს, მოსთქვამდა დაკარგულ სიყვარულს,
მიჯნურის ღალატს. ვარდს დაევიწყებინა, სხვაში
გაეცვალნა მისთვის ხელი პატარა ჩიტუნა.

ვარდს დაევიწყებინა, მაგრამ ჩიტუნას კი
არ ავიწყდებოდა განვილილი ნეტარება. ის ყო-
ველ დილა-საღამოს წყრიალა ხმით მოსთქვამდა
თავის წარსულს, შესჩივოდა ყველას სატრფოს
ღალატს და სწყევლიდა კაცს, ვითომ და მი-
ზეზს თვისი უბედურებისას: „ბუნების ყველა
შვილით, სულიერით და უსულოთ, ადამიანისა-
გან ისწავლეს ღალატი“. მოსთქვამდა სევდი-
ანად ბუზბუზული.

„კაცი მიწიერ ქმნილებათა შორის უგონი-
ერესი და უძლიერისი ქმნილებაა, მაგრამ მისი
გული-კი ბუღა ყოველგვარი ბიწიერებისა.

შეუბრალებელია ადამიანი, უსამართლოა, და-
უნდობელი და მოლაღატეა თვით იმისთანა
უწმინდეს გრძობაშიაც-კი, როგორც სიყვ-
არულია. ყველა უბედურება ამ ქვეყნად ადამი-
ანის მოგანილია. მე უბედურსაც ადამიანსა
დამაყარავინა ნეტარი სიყვარული.

* * *

„ჩემი სატრფო იშლებოდა ერთს მშვე-
ნიერს წალკატში ახალგაზრდა ცოლ-ქმრის
ფანჯარასთან. როდესაც ჩემის სატრფოს მშვე-
ნიერებით მოხიბლული მის ახლოს ვიჯექ და
გალობით შევაქებდი ყვავილთა მუხს, მაშინ
ის ახალგაზრდა ცოლ-ქმარნიც ფანჯარასთან
ისხდნენ და ალტაცებით შესტკეპროდნენ თე-
ლებში ერთმანეთს.

— ხედავ, ჩემო სულიკო! ეუზნებო-
და ქმარი ცოლს, ბუზბუზული რა გახე-
ლებული უმდერს ვარდს, როგორ მშურს, რომ
არ შემძლიან მეც ასე ტკილიად გიძღვრო,
სიმღერით მაინც გადმოგვცე ის გრძობა, რაც
სიტყვებით ვერ გამოითქვამს.

— მე სრულებითაც ეჭვი არ შემეპეს შენს
ძლიერს სიყვარულშია, ჩემო სიკაცსლევ: გულ-
წრფელი სიყვარული სიტყვებს არ საჭიროებს,
გული უსიტყვოთაც კარგად გძრობს მეორე
გულის წმინდა გრძობას. მე დარწმუნებული
ვარ, მუდამ გეყვარები და თავის დღეში არ
მიღალატებ!— ეუზნებოდა კეკლუცი ცალი და
ნაზად ჰზრდა თავს ქმრის მხარზე.

ჩვენ ყურს ეუგდებდით და ვსტკებოდით
ჩვენისა და მათის ბედნიერებით. განხაროდა,
რომ ადამიანებსაც სკოლით ნამდვილი სი-
ყვარული.

ჩემს სატრფოზე ძლიერ მოქმედებდა მათი
მოხიბლავი სიტყვები; ხანდისხან რაღაც
გულის ტყენით მეტყუდა ხოლმე ვარდი: ჩემო
მშვენიერო ჩიტუნო, შენ ძალიან კარგად გა-
ლობ, მაგრამ რომ გაიგონო, როგორი სი-
ტყვებით ეაღვრებდა მაგ ფანჯარაში კაცი ქალს,
გაჰვირდები. მივივრს, საიდან იგონებს იმისთანა
სიტყვებს, როგორ ჰხიბლავენ გულის ის სი-
ტყვები, იმათი ვაგონების შემდეგ მიჯნური მი-
ჯნურს ღალატს როგორღა შესწამებს. ანაი-
რად შენატროდა ჩემი სატრფო მეტყვე-
ლი და მეკი გულს მხედებოდა მისი სიტყვები.
ჩემი მტკერ მეტყველობა ვალობა იყო და, რაც

შემძლო, ვიბრავდი ყელს, თუნდ იმ ვალო-
ბას თან გადავყოლიყავ, ოღონდ კი ვარდს
ჩემი გალობა მოსწონებოდა და დავეიწყებინა
კაცის მომხიბლავი სიტყვები.

ერთს მშვენიერს, მივართი ვაკაშკაშებულს
ლამეს მე ბუჩქზე ვიჯექ, ვარდს თავი ჩემს
გულზე დაეყრდნო, მე გაშმაგებული მოვსთ-
ქვამდი ყვავილთა მეფას სიტურფეს. ყველა
სულდგმული გაჩუმებულიყო, ეტყაბოდა კარ-
გად ვვალობდი, რომ ყველა სმენად გადაქ-
ცულიყო.

— სულიყო, ხედავ? გამაწყვეტნა სატრ-
ფომ სიმღერა და მიმხვედა.

მივარის უუქზე გამოჩნდა ბაღში ჩვენი
ნაცნობი მოსიყვარულე ქმარი და მასთან სხვა
ქალი.

— ხედავ? მიიხრა სატრფომ: ერთი კვი-
რისა ცოლი სხვაგან გაისტუმრა და ევ ქალი
მას აქედ აქ არის. ყური დაუგდე. მაგასაც იმ
სიტყვებს ეუბნება, რასაც ცოლს. მე სუ-
ლელს-კი მეგონა, ძლიერი გრძობა აფრქვე-
ვინებდა პირიდან იმ მარგალიტებს, რომელთა
მოსმენაც მე ისე მიყვარდა. კაცებს ლაპარაკი
სცოდნით კარგი და სიყვარულით კი შენისთა-
ნა არ ეთოდინებათ, ჩემო პატარა ჩიტუნია,
— მომიღერსა სატრფომ და თავისი სურნელო-
ვანი ფურცლები ჩემს ნისკარტს შეახო. მე
შილად ავინთე მისი მოკარებით და მის ალერს-
ზე სიმღერით გავეცი პასუხი, ერთი-ორად
ვუმატე, ერთი-ორად ავწი-დავწიე.

— შენ ხომ მაგასავით არ მიღალატებ?
მეკითხებოდა სატრფო. მეც, ბედნიერი, ვა-
რაკაკებდი ვალობას, ცასა და ქვეყანას თავ-
დებთ ვაძლევდი, რომ მე იმ მატყუარა კაცს
